

მთავარი ქუჩის ტურის გამომცემი კარმიდამო ჩემი 21-ს ქვევით G-NEWS TV სიახლეები

მთავარი თემა პოლიტიკა საზოგადოება ეკონომიკა სამართალი მკითხველი კულტურა სპორტი აკილო გაზეთის PDF ვერსია

განცხადებები

კონტაქტი

ფინანსური ანგარიში

ბლოგები

თამაშები

ფოტო

ვიდეო

"ვინ შეიძინა გადაშენების პირას მყოფი ცხოველების დახოცვის უფლება"

ლაშა ზარგინავა, ორშაბათი, 23 იანვარი 2012 20:08

Tweet 0 Like 9

საქართველოს მთავრობამ, 2011 წლის დეკემბრის ბოლოს, ახალი წლის წინა დღეებში, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ წითელ ნუსხაში შეტანილ ცხოველებზე ნადირობის დაშვების მიზნით, რამდენიმე ნორმატიული აქტი გამოსცა, რომელიც გარემოსდაცველ არასამთავრობო ორგანიზაციებში სერიოზული შეშფოთების მიზეზი გახდა. ასოციაცია "შწვანე ალტერნატივას" მიერ გავრცელებულ განცხადებაში, ნათქვამია, რომ მოკლე ხანში შესაძლებელია, კრიტიკულ დონემდე შემცირდეს საქართველოში ნიაბორის, ირმის, აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიური ჯიხვის, არჩვის, დათვის პოპულაციები.

ასოციაცია "შწვანე ალტერნატივას" მოსაზრებით, ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით შემამფოთებელია იმ ფონზე, როდესაც მთავრობას არანაირი მექანიზმი არ აქვს შემუშავებული ნადირობისთვის ნებადართულ ტერიტორიებზე კონტროლის, მონიტორინგის, ბრაკონიერობასთან ბრძოლის, ცხოველთა დაცვისა და აღწარმოებისთვის.

"არ არსებობს არანაირი მონაცემი სანადირო ობიექტების სიაში შეტანილი სახეობების რიცხოვნობისა და პოპულაციების მდგომარეობის შესახებ. ამგვარი გადაწყვეტილების შედეგად გამოუსწორებელი ზიანი მიადგება საქართველოს უნიკალურ ბიომრავალფეროვნებას," \_ აღნიშნულია განცხადებაში. გარდა ამისა, რომ ეს გადაწყვეტილება სერიოზულ დარტყმას აყენებს ქვეყნის მიერ ბოლო წლებში დაცული ტერიტორიების სისტემისა და ეკოტურიზმის განვითარების მიმართულ მიდწეულ წარმატებებს, დონორების მიერ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის დახარჯული არა ერთი მილიონი დოლარი პრაქტიკულად წყალში ჩაიყრება.

"ამგვარი გადაწყვეტილებები შეუფერებელია ცივილური, დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული სახელმწიფოსთვის და ლახავს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს, ვინაიდან რადიკალურად ეწინააღმდეგება საერთაშორისო გარემოსდაცვითი შეთანხმებების ძირეულ პრინციპებს," \_ განმარტებულია "შწვანე ალტერნატივას" განცხადებაში.

ასოციაციის აზრით, საქართველოს მთავრობამ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ წითელ ნუსხაში შეტანილ ცხოველთა სახეობებზე ნადირობის დაშვებაზე გადაწყვეტილება მიიღო ნაჩქარევად და გაუმჭვირვალედ, დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის გარეშე.

"ეს გარემოება ბადებს სერიოზულ ეჭვს, რომ ის ემსახურება ხელისუფლებასთან დაახლოებული რომელიმე კონკრეტული ჯგუფის ფინანსურ ინტერესებს. ვვარაუდობთ, ეს ეჭვი მოკლე ხანში გამართლდება, როდესაც ცნობილი გახდება, თუ ვინ შეიძინა გადაშენების პირას მყოფი ცხოველების დახოცვის უფლება ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან. აღნიშნული იქნება ჩვენს ქვეყანაში ელიტური კორუფციის არსებობის კიდევ ერთი დოკუმენტური დადასტურება," \_ ნათქვამია "შწვანე ალტერნატივას" განცხადებაში.



მასალების გამოყენებისას აუცილებელია წყაროს მითითება

1065177
3702
TOP.GE
1305